საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალუბალი

ალუბალი

ალუბალი (Cerasus), მერქნიანი მცენარის გვარი ვარდისებრთა ოჯახისა.

აქვს მორიგეობით განლაგებული ფოთლები, ქოლგა ყვავილედებად შეკრებილი თეთრი ან ვარდისფერი ყვავილები. ნაყოფი წვნიანია, კურკიანი. ცნობილია ა-ის 150 სახეობა. საქართველოში ა. გვხვდება ზ. დ. 1600 მ-მდე. ჩვენში გავრცელებული ა-ები უმთავრესად ჩვეულებრივ ა-ს (C. vulgaris) განეკუთვნება. ველური ფორმები არ გვხვდება. ა-ის კულტ. ფორმებში განასხვავებენ 2 ჯგუფს - ბუჩქოვანსა და ხისებრს. საქართველოში კულტივირებულია ესპანურა, ვლადიმირისა და ლუბსკაია; დარაიონებულია ქართ. ა. და პოდბელსკი.

ა-ს ამრავლებენ თესლით, ფესვის ამონაყარითა და საძირეზე მყნობით. კარგად ხარობს ალუვიურ-კარბონატულსა და თიხნარ ნიადაგებზე. ყინვაგამძლეა, ადრემსხმოიარე (დაახლ. 10 ტ/ჰა). ნაყოფი გემრიელია, შეიცავს 7,3 – 17,5% შაქარს, 0,8–2,4% მჟავას, 0,15–0,88% მთრიმლავ ნივთიერებებს. იყენებენ ნედლად და გადამუშავებულს (მურაბა, ჯემი, კომპოტი, ნაყენი, საკონდიტრო ნაწარმი). ა-ის მავნებლები: ალუბლის ხერხია, ალუბლის ხვატარი, ალუბლის ბუზი; დაავადებები: ნაყოფის სიდამპლე, კლასტეროსპორიოზი, ვერტიცილიოზი.

ე. ერისთავი